ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
სადისერტაციო საბჭოს სხდომა

ო ქ მ ი №1 *29 აპრილი 2014 წ.*

სხდომას ესწრებოდნენ: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე პროფესორი ელგუჯა მექვაბიშვილი, სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი, ასისტენტ-პროფესორი მანანა ლობჟანიძე, სადისერტაციო საბჭოს წევრები, სულ: 44 წევრი (ხელმოწერები თან ერთვის ოქმს).

დღის წესრიგი:

1. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტების*: **დავით ჯანგირიანისა და არტაკ ოგანესიანისათვის*** სადოქტორო პროგრამის დასრულების მიზნით, უცხო ენაზე სადისერტაციო ნაშრომის წარმოდგენისა და დაცვის საკითხი.
2. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტებისათვის სადისერტაციო თემებისა და მეცნიერ-ხელმძღვანელების დამტკიცების საკითხი:
   1. *დავით პირველაშვილი* - სადისერტაციო თემა: *"მომსახურების ხარისხის აღქმა ქართველ მომხმარებლებში ყიდვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას"*
      მეცნიერ - ხელმძღვანელი: *პროფესორი ნუგზარ თოდუა*
   2. *ზვიად სიჭინავა* - სადისერტაციო თემა: *"ელექტრონული კომერციის განვითარების მარკეტინგული სტრატეგიები საქართველოში"*
      მეცნიერ - ხელმძღვანელი: *პროფესორი ნუგზარ თოდუა*
   3. *მიხეილ გურგენიძე* - სადისერტაციო თემა: *"საბაზრო რისკების მართვის ეფექტიანობის გაზრდა"*
      მეცნიერ - ხელმძღვანელი: *პროფესორი დავით ნარმანია*
   4. *აკაკი ხარაიშვილი* - სადისერტაციო თემა: *"პროექტების მართვის სისტემის როლი საქართველოს ენერგეტიკული სექტორის სტრატეგიის რეალიზაციაში"*
      მეცნიერ - ხელმძღვანელი: *ასოცირებული პროფესორი გიული ქეშელაშვილი*
3. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტ *ლაშა ლაბაძის* სადისერტაციო თემის სათაური –*"ფირმებს შორის შეთანხმებათა მახასიათებლების ემპირიული კვლევა, საქართველოს ფარმაცევტულ ბაზარზე"* (ბრძ.№2393/01-04; 15.12.2011წ.) შეიცვალოს: *"საქართველოს სოფლის მეურნეობაში ინვესტიციების ეფექტიანობის შეფასება მიკროეკონომიკური მოდელით"* მეცნიერ-ხელმძღვანელი: *პროფესორი ეთერ ხარაიშვილი.*
4. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტ *დავით დარსაველიძის* სადისერტა-ციო თემის სათაური –*"ეკონომიკურ-სტატისტიკური მეთოდების გამოყენება ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაში (თბილისის მაგალითზე)"* (ბრძ. №2373/01-04; 02.12.2009წ.) შეიცვალოს: *"ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ინსტრუმენტები (თესალონიკის, ნაპა ვალისა და თბილისის ტურისტული კლასტერების მაგალითზე"* მეცნიერ- ხელმძღვანელი: *პროფესორი სიმონ გელაშვილი.*
5. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტ *ნონა ქავთარაძის*

სადისერტაციო ნაშრომის – *„საქართველოს საბიუჯეტო სისტემის ფორმირების და ფუნქციონირების სრულყოფის საკითხები",* (მეცნიერ-ხელმძღვანელი: *ასოცირებული პროფესორი მიხეილ ჩიკვილაძე)* შემფასებლების შერჩევის საკითხი;

6. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტ *ირაკლი მაკალათიას* სადისერტაციო ნაშრომის –*„საქართველოს მოსახლეობის ცხოვრების დონის სტატისტიკური კვლევა"* (მეცნიერ-ხელმძღვანელი: *პროფესორი ქეთევან მარშავა)* შემფასებლების შერჩევის საკითხი;
7. დისერტანტ *ვახტანგ ჩალაფეიქრიშვილის* დისერტაციის *"მსოფლიო ეკონომიკური წესრიგის გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე",* საჯარო დაცვის შედეგად, სადისერტაციო კომისიის დასკვნის *84 ქულა, "ძალიან კარგი"* (*magna cum laude*) დამტკიცებისა და *„ეკონომიკის დოქტორის"* აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხი;
8. დისერტანტ *ნატო ჩადუნელის* დისერტაციის *"ბიზნესის როლი მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციაში"* საჯარო დაცვის შედეგად, სადისერტაციო კომისიის დასკვნის *74 ქულა, "კარგი"* (*cum laude*) დამტკიცებისა და *„ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის"* აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხი;
9. დისერტანტ *პაატა კუნჭულიას* დისერტაციის *"ფინანსური მენეჯმენტის თავისებურებანი კომერციულ ბანკში"* საჯარო დაცვის შედეგად, სადისერტაციო კომისიის დასკვნის *79 ქულა, "კარგი"* (*cum laude*) დამტკიცებისა და *„ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის"* აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხი;
10. დისერტანტ *დავით ნიჟარაძის* დისერტაციის *„მრავალეროვნული კომპანიების მართვის მექანიზმები და განვითარების ტენდენციები,"* საჯარო დაცვის შედეგად, სადისერტაციო კომისიის დასკვნის *90 ქულა, "ძალიან კარგი"* (*magna cum laude*) დამტკიცებისა და *„ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის"* აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხი;
11. დისერტანტ *თეიმურაზ გოგნაძის* დისერტაციის *"სახელმწიფო შესყიდვების მართვის ორგანიზაცია ინტერნეტ-ტექნოლოგიების გამოყენებით"* საჯარო დაცვის შედეგად, სადისერტაციო კომისიის დასკვნის *85 ქულა,"ძალიან კარგი"(magna cum laude*) დამტკიცებისა და *„ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის"* აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხი;
12. დოქტორანტ *ვ. არღუთაშვილის „ბიზნესის ადმინისტრირების"* სადოქტორო პროგრამიდან *„ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის"* სადოქტორო პროგრამაზე გადასვლის საკითხი.
13. მიმდინარე საკითხები.

/სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე, პროფესორი ე. მექვაბიშვილი/

მოისმინეს 1. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის, პროფესორ ე. მექვაბიშვილის განცხადება, პროფესორ შოთა ქისტაურის გარდაცვალების შესახებ და წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს მის ხსოვნას. მეორე საკითხი: დღის წესრიგის დამტკიცება.

აზრი გამოთქვეს: საბჭოს წევრებს შორის აზრი არავის გამოუთქვამს.

ჩატარდა კენჭისყრა: გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ერთხმად.

დაადგინეს 1.1. დამტკიცდეს სადისერტაციო საბჭოს დღის წესრიგი წარმოდგენილი ფორმით.

მოისმინეს 2. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის, პროფესორ ე. მექვაბიშვილის განცხადება, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტების: *დავით ჯანგირიანისა და არტაკ ოგანესიანისათვის* სადოქტორო

პროგრამის დასრულების მიზნით, უცხო ენაზე სადისერტაციო ნაშრომის წარმოდგენისა და დაცვის საკითხი. მოგახსენებთ, რომ დოქტორანტები: დავით ჯანგირიანი და არტაკ ოგანესიანი 2011-2012 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში, 2011 წლის 12 ოქტომბრის რექტორის №1873/01-04 ბრძანების საფუძველზე ჩაირიცხნენ, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე, ***ბიზნესის ადმინისტრირების*** სადოქტორო პროგრამაზე.

დოქტორანტებს – ***დავით ჯანგირიანსა და არტაკ ოგანესიანს*** გამოცდა ქართულ ენაში არ ჩაუბარებიათ. მათ ქართული ენა არ იციან და აქედან გამომდინარე, ისინი ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნას ***„დისერტაციის წარმოდგენისა და დაცვის"*** შესახებ, რომელიც ითვალისწინებს დისერტაციის წარმოდგენას და დაცვას ქართულ ენაზე ვერ ახორციელებენ. 2014 წლის 27 თებერვალს, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით (ოქმი №3), „ეკონომიკის", „ბიზნესის ადმინისტრირებისა" და „ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის" სადოქტორო პროგრამებში განხორციელებული ცვლილების საფუძველზე, პროგრამით გათვალისწინებული კომპონენტების: სადოქტორო სემინარისა და კოლოქვიუმის შესრულება შეუძლიათ, უცხო ენაზე (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) ქართული სინქრონული თარგმანით.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულების მე-V მუხლის ***(დისერტაცია და მისი დაცვის პროცედურა)***, 24-ე პუნქტის, 24.2 ქვეპუნქტის შესაბამისად: ***„დისერტაციის დაცვის ენა არის ქართული, თუ სადისერტაციო საბჭოს მიერ სხვა რამ არ არის დადგენილი".***

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით თქვენ ელექტრონულად დაგეგზავნათ რექტორის, აკადემიკოს ვლადიმერ პაპავას წერილი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის თამარ ვეფხვაძისა და იურიდიული დეპარტამენტის უფროსის არჩილ კუკულავას სამსახურებრივი ბარათი. რომლის საფუძველზე ვშუამდგომლობთ, სადისერტაციო საბჭოს წინაშე, რათა მათ მიეცეთ სადოქტორო პროგრამის დასრულებისა და დისერტაციის დაცვის შესაძლებლობა უცხო ენაზე (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული), ქართული სინქრონული თარგმანით ისე, როგორც სადოქტორო სემინარისა და კოლოქვიუმის შესრულების შემთხვევაში.

აზრი გამოთქვეს:

პროფესორი სიმონ გელაშვილი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულების შესაბამისად, დოქტორანტურაში ჩარიცხვის წინაპირობაა ხელმძღვანელის თანხმობა, მათ არ იციან ქართული ენა, ჩვენმა კოლეგამ მისცა რეკომენდაცია და თანხმობა ჩარიცხვის დროს. მაინტერესებს ვინ არის მათი ხელმძღვანელი და ვინ მისცა თანხმობა.

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი მანანა ლობჟანიძე

უცხო ქვეყნის მოქალაქეების დოქტორანტურაში ჩარიცხვის წესი განსხვავებულია დოქტორანტურაში მიღების წესისაგან. დოქტორანტების: ***დავით ჯანგირიანისა და არტაკ ოგანესიანის*** დოქტორანტურაში ჩარიცხვის წინაპირობა დარღვეულია, მათ არ ჩაუბარებიათ გამოცდა ქართიულ ენაში და არ გაუვლიათ გასაუბრება დარგობრივ კომისიასთან, აქედან გამომდინარე არც მეცნიერ-ხელმძღვანელს და არც სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელებს არ მიუციათ თანხმობა. ***„ბიზნესის ადმინისტრირების"*** სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვა განხორციელდა ფაკულტეტის გარეშე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და თსუ-ს სასწავლო დეპარტამენტის მიერ.

ასოცირებული პროფესორი ეკა ლეკაშვილი

თუმცა, მათ ქართული ენის სერტიფიკატის წარმოდგენა მოეთხოვებათ და ასეთი სერტიფიკატი არ წარმოუდგენიათ.

ასოცირებული პროფესორი მიხეილ ჩიკვილაძე

ეს არის ერთადერთი შემთხვევა საქართველოს ისტორიაში, როდესაც აღნიშნული საკითხი გადაწყდა ორი ქვეყნის მთავრობის თავმჯდომარის დონეზე, ჩვენ მათ ჩარიცხვაში მონაწილეობა არ მიგვიღია და აღმოვჩდით ფაქტის წინაშე. რა თქმა უნდა ქართული ენა სახელმწიფო ენაა, მაგრამ მათი პროგრამის დასრულების მიზნით საჭიროა მოიძებნოს გამოსავალი, დეკანის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ყველაფერი გაკეთა იმისათვის რომ პრობლემა გადაწყდეს დადებითად. მიმაჩნია, რომ არავითარი გაუგებრობა არ არსებობს.

პროფესორი გიორგი ღაღანიძე

ბატონო მიხეილ, თქვენ როგორც მეცნიერ-ხელმძღვანელს ჩემზე გაცილებით მეტი ინფორმაცია გაქვთ. რა ენაზე იქნება დისერტაცია წარმოდგენილი?

ასოცირებული პროფესორი მიხეილ ჩიკვილაძე

რუსულ ენაზე.

პროფესორი გიორგი ღაღანიძე

ეს ეწინააღმდეგება ჩვენს დებულებას.

სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე, პროფესორი ელგუჯა მექვაბიშვილი

შეკითხვები, რომელიც აქ დაისვა არაერთხელ დავსვით, მეც და ქალბატონმა მანანამ, მაგრამ ჩვენ მივიღეთ ასეთი პასუხი, რომ აღნიშნულ საკითხზე მიღწეულია სამთავრობათაშორისო შეთანხმება, რადგან ჩვენ ზეპირი პასუხი არასაკმარისად ჩავთვალეთ, წერილობით მივმართეთ ცენტრალურ ადმინისტრაციას. როგორც იურიდიული დეპარტამენტიდან ასევე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურიდან მივიღეთ დასკვნა, სადაც პირდაპირ მითითებულია, რომ უნდა დავიცვათ დოქტორანტების ინტერესები და გამონაკლისის სახით მივცეთ მათ რუსულ ენაზე დისერტაციის დაცვის უფლება. მიუხედავად იმისა, რომ სადისერტაციო საბჭოს დებულებით დისერტაციის დაცვა ენა არის ქართული და სხვა ენაზე დაცვა ეწინააღმდეგება ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულებას, რადგან საკითხი სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვანია, ოფიციალური თხოვნაა, ერთჯერადად მიეცეს მსვლელობა და გამონაკლისის სახით დაიცვან სადისერტაციო ნაშრომი რუსულ ენაზე. რა თქმა უნდა, ეს თქვენი გადასაწყვეტია. რადგან დებულებაში აღნიშნულია, რომ გადაწყვეტილებას იღებს სადისერტაციო საბჭო და თუ საბჭო არ მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას, რა თქმა უნდა, ისინი დისერტაციას სხვა ენაზე ვერ დაიცავენ.

ასოცირებული პროფესორი ია ნაცვლიშვილი

ქალბატონმა მანანამ დეტალურად გაგვაცნო არსებული ვითარება. ჩვენ ერთმანეთასაგან უნდა განვასხვავოთ ორი საკითხი: პირველი დისერტაციის დაცვის ენა, რომ დისერტაციის დაცვა მოხდეს სხვა ენაზე სინქრონული თარგმანით, ამას სადისერტაციო საბჭოს დებულება ითვალისწინებს, თუ სადისერტაციო საბჭო მისცემს უფლებას, რომ დაიცვან მათთვის სასურველ ენაზე, მაშინ ქალბატონმა მანანამ უნდა გვითხრას თუ რომელ ენაზე დაცვა სურთ მათ და შეიძლება ეს საკითხი დადებითად გადავწყვიტოთ. რის საშუალებასაც დებულება იძლევა. ამისგან განსხვავებულია მეორე საკითხი: დისერტაციის წარმოდგენის ენა, ეს კიდევ სხვა საკითხია, დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულებაში ცალსახად წერია, რომ დისერტაციის წარმოდგენა უნდას მოხდეს ქართულ ენაზე. ჩემი პირადი აზრია, სადისერტაციო საბჭოს დებულებაში ერთმნიშვნელოვნად წერია, რომ მიეცეს დისერტაციის დაცვის უფლება სინქრონული თარგმანით, თუ სადისერტაციო საბჭო გადაწყვეტს. სადისერტაციო საბჭოს

დებულებაში არის ჩანაწერი დისერტაციის დაცვის ენა არის ქართული, მაგრამ თუ სადისერტაციო საბჭოს მიიღებს გადაწყვეტილებას შესაძლებელია დაცვა სხვა ენაზე სინქრონული თარგმანით. *„დისერტაციის წარმოდგენის ენა არის ქართული"* მერე, რომ მიდიოდეს ჩანაწერი *„თუ სადისერტაციო საბჭოს მიერ სხვა რამ არ არის დადგენილი".* მაშინ იურიდიულად ყველაფერი წესრიგშია, ამიტომ იყო რექტორის წერილი წარმოდგენილი, რომელიც ითხოვდა ცვლილების შეტანას სადისერტაციო საბჭოს დებულებაში, თუმცა ესეც ჩვენი გადასაწყვეტია, დებულებაში გვინდა ცვლილების შეტანა თუ არა. ჩვენ შეგვიძლია გადავწყვიტოთ რომ დაცვა შედგეს კი ბატონო არაქართულ ენაზე და მაშინ დისერტაციის წარმოდგენა რომელ ენაზე?

სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე, პროფესორი ელგუჯა მექვაბიშვილი

ქალბატონო ია, სადისერტაციო საბჭოს დებულებაში არავითარი სინქრონული თარგმანი არ წერია.

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი, მანანა ლობჟანიძე

ჩვენს მიერ სადოქტორო პროგრამებში განხორციელებული ცვლილების საფუძველზე მათ პროგრამით გათვალისწინებული კომპონენტების: სადოქტორო სემინარისა და კოლოქვიუმის შესრულება შეუძლიათ უცხო ენაზე (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული), ქართული სინქრონული თარგმანით და თუ არ მივცემთ უცხო ენაზე დისერტაციის დაცვის შესაძლებლობას წინააღმდეგობაში ვართ განხორციელებულ ცვლილებებთან.

ასოცირებული პროფესორი ეკა ლეკაშვილი

ჩვენ მივეცით უფლება, ძალიან ბევრი გამონაკლისები დაუშვით მათ სასარგებლოდ და ამ გამონაკლისების ფონზე ხვალ და ზეგ ეს გამონაკლი აღარ იქნება და ძალიან ბევრი ასეთი შემთხვევა იქნება. ამ დოქტორანტებმა ყველა სასწავლო კომპონენტებმა შეასარულეს სომხეთის რესპუბლიკაში და ჩვენს ვუღიარეთ, მე მეჩვენება, რომ ფორმალურ სახეს იძენს ეს ყველაფერი.

სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე, პროფესორი ელგუჯა მექვაბიშვილი

თქვენ შეგიძლიათ თქვენი მოსაზრება გამოთქვათ და თქვენი პოზიცია დააფიქსიროთ კენჭისყრის დროს.

ასოცირებული პროფესორი ავთანდილ ჩუთლაშვილი

მე შედარებით ახალი წევრი ვარ თქვენი კოლექტივის და მინდა პატივისცემა გამოვხარტო იმ გადაწყვეტილებების მიმართ, რაც იყო მიღებული. ჩვენ წინა სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე მივიღეთ გარკვეული გადაწყვეტილებები, მათ ნახევარი გზა გავლილი აქვთ და მე უხერხულობას ვგრძნობ, რომ პატივს არ ვცემთ ჩვენს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს.

პროფესორი, გიორგი ღაღანიძე

ბატონო ავთო, ნახევარი გზა თუ არასწორად გავიარეთ ეს არ ნიშნავს, რომ მეორე ნახევარიც არასწორად გავიაროთ. საკითხი ეხება ენას, ამ საკითხიას გამო ხალხი ტყვიას ეფარებოდა. ჩვენგან მოითხოვენ მინიმუმს, ეს მინიმუმი გახლავთ შემდეგი: ან ვთხოვოთ განათლების სამინისტროს უზრუნველყოს ამ ორი დისერტაციის თარგმნა ქართულად, ან ვთხოვოთ თსუ-ს, თუ ორივემ უარი გვითხრა, მაშინ ჩვენ გავიღოთ ხარჯი, ჩვენ ვთარგმნოთ, მაგრამ ნუ დავარღვევთ კანონს, ენა უნდა იდგეს ყველაფერზე მაღლა.

პროფესორი ნუგზარ თოდუა

მე მინდა ჩემი აზრი გამოვთქვა როგორც პროგრამის ხელმძღვანელის პოზიციიდან, ისე პროფესორის პოზიციიდან გამომდინარე, რომელსაც მსგავსი სიტუაცია ჰქონდა. სამწუხაროა ის ფაქტი, რომ ამ დოქტორანტების დოქტორანტურაში ჩარიცხვა მოხდა ჩვენი გვერდის ავლით და ჩვენ ჩარიცხვის პროცესში არ ვღებულობდით მონაწილეობას, ვგულისხმობ, ხელმძღვანელის თანხმობას და პროგრამის ხელმძღვანელის თანხმობას,

რაც დოქტორანტურაში ჩარიცხვის აუცილებელი წინაპირობაა. ეს პირობა რომ თავის დროზე დაცული ყოფილიყო, ბევრ კანონდარღვევას ავიცილებდით თავიდან. ან შეიძლება ხელი არც მოგვეწერა და ისინი დოქტორანტები ვერ გახდებოდნენ, მაგრამ დღეს სხვა მოცემულობის წინაშე ვართ. მიმაჩნია, რომ ჩვენ პატივი უნდა ვცეთ სამთავრო გადაწყვეტილებას, მაგრამ პატივი ვცეთ ღირსეულად, რომ არ დავარღვიოთ კანონი, ეს პროცესი ძალიან დიდი ხანია გრძელდება. ისინი კანონდარღვევით არიან ჩარიცხულები და მე როგორც ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელმა პროტესტი რამდენჯერმე გამოვთქვი წერილობით, რადგან ჩვენი სადისერტაციო საბჭოს დებულება არ ითვალისწინებს დისერტაციის წარმოდგენას და დაცვას უცხო ენაზე, მაგრამ ჩვენ წავედით დათმობაზე და განვახორციელეთ ცვლილები სადოქტორო პროგრამებში და სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული კომპონენტების: სადოქტორო სემინარისა და კოლოქვიუმის შესრულება შესაძლებელია, უცხო ენაზე (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) ქართული სინქრონული თარგმანით. ვეთანხმები, ბატონი გიორგის პოზიციას, რომ დისერტაციის დაცვა უნდა მოხდეს ქართულ ენაზე. მე მყავდა თურქი დოქტორანტი ალი რიზა აპილი, თურქეთის მოქალაქე და მან დისერტაცია წარმოადგინა ინგლისურ ენაზე, ჩვენ ბევრი ვიმუშავეთ ერთად, ძალიან გაგვიჭირდა, მაგრამ მან დისერტაცია ითარგმნა და წარმოადგინა ქართულ ენაზე. აქ პრობლემას ვერ ვხედავ, შეიძლება ერთი თვე დაიკარგოს, შეიძლება ორი თვე, ძალიან ბევრი თარჯიმანია და საკითხი მოგვარებადია. მიმაჩნია, რომ მათ უნდა თარგმნონ დისერტაცია და ქართულ ენაზე წარმოადგინონ.

ასოცირებული პროფესორი ეკა ლეკაშვილი

როგორც ვხედავთ, გადაწყვეტილება მიღებულია ძალიან მაღალ სამთავრობო დონეზე, რომლის საფუძველზეც ქართული ენის არმცოდნე ჩაირიცხა ქართულ უნივერსიტეტში ქართულენოვან პროგრამაზე. ამ ტიპის გადაწყვეტილების მთავარი მიზანია ქართული ენის შესწავლა. აქედან გამომდინარე მიმაჩნია, რომ მინიმუმ ერთი კომპონენტი მაინც, თუნდაც დისერტაცია წარმოადგინონ ქართულ ენაზე.

ასოცირებული პროფესორი ნინო პაპაჩაშვილი

სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული კომპონენტები რაც მათ გაიარეს, არცერთი გადაწყვეტილება არ იყო არასწორი. ჩვენ სასწავლო კომპონენტები ვუღიარეთ და აქ არაფერი კანონდარღვევა არ არის, ჩვენ ვახდენთ კრედიტების ურთიერთაღიარებას და ყველაფერი კანონიერების ფარგლებშია განხორციელებული. რაც შეეხება დისერტაციის დაცვისა და წარმოდგენის საკითხი უნდა გავმიჯნოთ ერთმანეთისაგან და ვთხოვოთ უნივერსიტეტის ადმინისტრაციას გამოყოს ხარჯები და დისერტაცია აუცილებლად უნდა ითარგმნოს და ისე იყოს წარმოდგენილი. დისერტაციის წარმოდგენასთან დაკავშირებით მინდა ჩემი მოსაზრება ჩამოვაყალიბო, რადგან ჩვენი სომეხი დოქტორანტები ყოველთვის ფინანსურ გაჭირვებაზე მიუთითებენ, დაეხმაროს თსუ-ს ადმინისტრაცია დისერტაციის თარგანში, რათა დისერტაცია აუცილებლად წარმოდგენილი იყოს ქართულ ენაზე და დაცვა შედგეს სხვა ენაზე და ქართული სინქრონული თარგანით.

ასოცირებული პროფესორი ინეზა გაგნიძე

თუ ასე ზემოდან არის მოთხოვნა, რომ აუცილებლად რუსულ ენაზე უნდა მოხდეს დისერტაციის დაცვა, ყველას მოეთხოვება ქართული ენის პატივისცემა. თსუ-ს აქვს უცხო ენების ცენტრი და დაევალოს მათ დისერტაციის თარგმნა, რომ არ დავარღვიოთ კანონი, რადგან ქართული ენის პატივისცემა მოეთხოვება ყველას.

ასოცირებული პროფესორი იზოლდა ჭილაძე

მე როგორც გავიგე, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გამო ორი სომეხი დოქტორანტი ჩავრიცხეთ დოქტორანტურაში. სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გამო ეს ხდება ერთ შემთხვევაში, როდესაც მათ რაიმე განსაკუთრებული ღვაწლი და დამსახურება ჰქონდათ ამ ქვეყნის წინაშე. რა დამსახურება აქვთ მათ ჩვენი ქვეყნის წინაშე? ჩვენ ამ

დოქტორანტებას არ ვიცნობთ, ისინი დღესაც არ არიან საბჭოს სხდომაზე, ასეთი მნიშვნელოვანი საკითხის განხილვის დროს და რა დამსახურებისათვის უნდა დავარღვიოთ ჩვენი დებულება. მე მიაჩნია ძალიან საეჭვოდ, თუ როგორ არის მათ მიერ მიღებული კრედიტები ფაკულტეტზე აღიარებული. როდესაც უკრაინის მოვლენების ფონზე სომხეთის საზღვართან ხდება რუსული ჯარების დიდი კონცენტრაცია, ნუთუ ამის გამო ვაძლევთ მათ ამ შეღავათს?

სწავლული მდივანი მანანა ლობჟანიძე

მინდა განმარტება გავაკეთო თქვენს მიერ გამოთქმულ მოსაზრებასთან დაკავშირებით, ეს პოლიტიკური საკითხია, რომელიც აღნიშნულ საკითხს არ უკავშირდება, რაც შეეხება თქვენს მიერ გამოთქმულ ეჭვს ეს უსაფუძვლოა, რადგან, უცხოეთში მიღებული კრედიტების აღიარება ხდება განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის მიერ, სწორედ მათი აღიარების საფუძველზე განიხილავს აღნიშნულ საკითხს ფაკულტეტზე არსებული კრედიტების აღიარების კომისია. აქედან გამომდინარე, თქვენს მიერ გამოთქმული ეჭვი, მათ მიერ მოპოვებული კრედიტების ნამდვილობისა და აღიარების ნამდვილობის შესახებ, უსაფუძვლოა.

პროფესორი იაშა მესხია

მიზანშეწონილად მიმაჩნია დისერტაციის თარგმანის ნაცვლად, ითარგმნოს ავტორეფერატი.

ასოცირებული პროფესორი ია ნაცვლიშვილი

ამას დებულება არ ითვალისწინებს.

სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე, პროფესორი, ელგუჯა მექვაბიშვილი

ქალბატონო ია, დებულებით რომ არ შეიძლება ეს ჩვენთვის ნათელია, აქ საუბარია იმაზე, მივცეთ თუ არა უფლება. ჩვენ საკითხს ვიხილავთ დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულების იმ მუხლის შესაბამისად, სადაც წერია ***„დისერტაციის დაცვის ენა არის ქართული, მაგრამ თუ სადისერტაციო საბჭოს მიერ სხვა რამ არ არის დადგენილი"*** და შესაძლებელია სადისერტაციო საბჭომ მიიღოს გადაწყვეტილება. აქ წარმოდგენილია სადისერტაციო საბჭო და გადაწყვეტილება უნდა მიიღოს სადისერტაციო საბჭომ.

ასოცირებული პროფესორი ნაზირა კაკულია

ძალიან კარგი იქნება, რომ დისერტაციის თარგმანი დაევალოს უცხო ენების ცენტრს და პრობლემა ბოლოსდაბოლოს გადაწყდება, ბატონო ელგუჯა, თქვენი თანადგომით ყველაფერი კეთდებოდა პრობლემის გადასაჭრელად და რადგან ფინანსურად ძალიან მძიმე მდგომარეობაში არიან ეს დოქტორანტები, ფაკულტეტმა გადაწყვიტოს ეს პრობლემა და ყველამ თითო გვერდი რომ ვთარგმნოთ, პრობლემა მარტივად გადაწყდება.

პროფესორი ქეთევან მარშავა

თუ სამთავრობო დონეზეა საკითხი გადაწყვეტილი გამოუყონ თანხა, აქ პრობლემას ვერ ვხედავ.

ასოცირებული პროფესორი ნუგზარ პაიჭაძე

მიზანშეწონილად მიმაჩნია, გავიზიაროთ ბატონი იაშას წინადადება და ავტორეფერატი ქართულად ითარგმნოს.

დეკანი, ასოცირებული პროფესორი თეიმურაზ ბერიძე

აქ რამდენიმე არგუმენტი იყო წარმოდგენილი და ყველა გასათვალისწინებელია, დებულება ყველა ნაწილში დაცულია და არ არის დარღვეული, აქ საუბარია არა დაცვის ხელშეწყობაზე, არამედ მათ უნდა მიეცეთ დისერტაციის წარმოდგენის შესაძლებლობა. ორივე დისერტაციის თარგმანის ღირებულება შეადგენს დაახლოებით ათი ათას ლარს, მათ ამის შეასაძლებლობა არა აქვთ. ეს არის ერთადერთი

პრეცენდენტი და გამოსავალი უნდა მოიძებნოს. მე მხარს ვუჭერ ბატონი იაშას და ბატონი ნუგზარის წინადადებას, მივცეთ საშუალება, რომ დისერტაცია წარმოადგინონ რუსულ ენაზე და ავტორეფერატი ქართულ ენაზე.

ასოცირებული პროფესორი ინეზა გაგნიძე

დებულების თანახმად, ყველა დისერტაცია ელექტრონულად უნდა გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და თუ რუსულად იქნება წარმოდგენილი დისერტაცია, ამით ვარღვევთ უზენაეს კანონს იმის შესახებ, რომ საქართველოში საქმის წარმოება არის ქართულ ენაზე.

სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე, პროფესორი, ელგუჯა მექვაბიშვილი

აქ ჩამოყალიბებული მოსაზრებების გათვალისწინებით, ჩვენ შეგვიძლია გამოვყოთ სამი მოსაზრება და დავაყენოთ კენჭისყრაზე:

1. დისერტაციის რუსულ ენაზე წარმოდგენა;
2. დისერტაციის ქართულ ენაზე წარმოდგენა;
3. დისერტაციის რუსულ ენაზე, ავტორეფერატის ქართულ ენაზე წარმოდგენა.

ასოცირებული პროფესორი იზოლდა ჭილაძე

მეოთხე ვარიანტიცაა, ჩემი მოსაზრებაა, დოქტორანტებს: ***დავით ჯანგირიანსა და არტაკ ოგანესიანს*** საერთოდ უარი ეთქვათ დისერტაციის დაცვაზე.

სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე, პროფესორი, ელგუჯა მექვაბიშვილი

ქალბატონო იზოლდა, თქვენი დიდი პატივისცემის მიუხედავად, ვერ დაგეთანხმებით და მიზანშეწონილად მიმაჩნია კენჭისყრაზე დადგეს სამი წარმოდგენილი ვერსია.

ჩატარდა კენჭისყრა:

1. დისერტაციის რუსულ ენაზე წარმოდგენა

   მომხრე – 1

   წინააღმდეგი - 43

2. დისერტაციის მხოლოდ ქართულ ენაზე წარმოდგენა

   მომხრე – 43

   წინააღმდეგი – 1

3. დისერტაციის რუსულ ენაზე, მხოლოდ ავტორეფერატის წარმოდგენა ქართულ ენაზე.

   მომხრე – 1

   წინააღმდეგი – 43

სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე, პროფესორი, ელგუჯა მექვაბიშვილი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო წინააღმდეგია დისერტაციის წარმოდგენის უცხო ენაზე, დისერტაცია ქართულ ენაზე უნდა იყოს წარმოდგენილი. ასოცირებული პროფესორი იზოლდა ჭილაძე, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ***„ბიზნესის ადმინისტრირების"*** სადოქტორო პროგრამის დოქტორანტების: ***დავით ჯანგირიანის და არტაკ ოგანესიანის*** დისერტაციის დაცვის წინააღმდეგია.

დაადგინეს 2.1. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულების შესაბამისად, „ბიზნესის ადმინისტრირების" სადოქტორო პროგრამის დოქტორანტებმა: ***დავით ჯანგირიანმა და არტაკ ოგანესიანმა*** სადისერტაციო ნაშრომი ქართულ ენაზე წარმოადგინონ.

მოისმინეს 3. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის, პროფესორ ე. მექვაბიშვილის განცხადება, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტებისათვის სადისერტაციო თემებისა და მეცნიერ-ხელმძღვანელების დამტკიცების შესახებ.

აზრი გამოთქვეს: საბჭოს წევრებმა აღნიშნეს, რომ ***აკაკი ხარაიშვილის*** სადისერტაციო თემა: ***"პროექტების მართვის სისტემის როლი საქართველოს ენერგეტიკული სექტორის***

სტრატეგიის რეალიზაციაში“, სასურველია შესწორდეს და ჩამოყალიბდეს: *“პროექტების მართვის როლი საქართველოს ენერგეტიკული სტრატეგიის რეალიზაციაში.“*

ჩატარდა კენჭისყრა: გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ერთხმად.

დაადგინეს 3.1. დამტკიცდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტებისათვის სადისერტაციო თემები და მეცნიერ-ხელმძღვანელები:

1. *დავით პირველაშვილი* - სადისერტაციო თემა: *“მომსახურების ხარისხის აღქმა ქართველ მომხმარებლებში ყიდვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას“*
   მეცნიერ - ხელმძღვანელი: *პროფესორი ნუგზარ თოდუა*
2. *ზვიად სიჭინავა* - სადისერტაციო თემა: *“ელექტრონული კომერციის განვითარების მარკეტინგული სტრატეგიები საქართველოში“*
   მეცნიერ - ხელმძღვანელი: *პროფესორი ნუგზარ თოდუა*
3. *მიხეილ გურგენიძე* - სადისერტაციო თემა: *“საბაზრო რისკების მართვის ეფექტიანობის გაზრდა“* მეცნიერ - ხელმძღვანელი: *პროფესორი დავით ნარმანია*
4. *აკაკი ხარაიშვილი* - სადისერტაციო თემა: *“პროექტების მართვის როლი საქართველოს ენერგეტიკული სტრატეგიის რეალიზაციაში“*
   მეცნიერ - ხელმძღვანელი: *ასოცირებული პროფესორი გიული ქეშელაშვილი*

მოისმინეს 4. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის, პროფესორ ე. მექვაბიშვილის განცხადება, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტ *ლაშა ლაბაძის* სადისერტაციო თემის სათაურის ცვლილების შესახებ.

აზრი გამოთქვეს: საბჭოს წევრებს შორის აზრი არავის გამოუთქვამს.

ჩატარდა კენჭისყრა: გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ერთხმად.

დაადგინეს 4.1. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტ *ლაშა ლაბაძის* სადისერტაციო თემის სათაური *“ფირმებს შორის შეთანხმებათა მახასიათებლების ემპირიული კვლევა, საქართველოს ფარმაცევტულ ბაზარზე“* (რექტორის ბრძ.№2393/01-04; 15.12.2011წ.) შეიცვალოს: *“საქართველოს სოფლის მეურნეობაში ინვესტიციების ეფექტიანობის შეფასება მიკროეკონომიკური მოდელით.”*

მოისმინეს 5. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის, პროფესორ ე. მექვაბიშვილის განცხადება, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტ *დავით დარსაველიძის* სადისერტაციო თემის სათაურის ცვლილების შესახებ.

აზრი გამოთქვეს: სადისერტაციო თემის სათაურში ცვლილების გამო, საბჭოს წევრებს შორის გამოითქვა მოსაზრება, სასურველია სიტყვა „ადგილობრივის” ნაცვლად, გამოყენებული იქნას „რეგიონალური ან ლოკალური”. დისერტანტის მეცნიერ-ხელმძღვანელმა პროფესორმა ს. გელაშვილმა განმარტა, რომ სასურველია სადისერტაციო თემის სათაური დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით.

ჩატარდა კენჭისყრა: გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ერთხმად.

დაადგინეს 5.1. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტ *დავით დარსაველიძის* სადისერტაციო თემის სათაური *“ეკონომიკურ-სტატისტიკური მეთოდების გამოყენება ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაში (თბილისის მაგალითზე)”* (ბრძ. №2373/01-04; 02.12.2009წ.) შეიცვალოს: *“ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ინსტრუმენტები (თესალონიკის, ნაპა ვალისა და თბილისის ტურისტული კლასტერების მაგალითზე”*

მოისმინეს 6. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის, პროფესორ ე. მექვაბიშვილის განცხადება, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტ *ნონა ქავთარაძის* სადისერტაციო ნაშრომის *„საქართველოს საბიუჯეტო სისტემის ფორმირების და ფუნქციონირების სრულყოფის საკითხები”,* შემფასებლების შერჩევის საკითხი;

აზრი გამოთქვეს: საბჭოს წევრებმა დოქტორანტ *ნონა ქავთარაძის* სადისერტაციო ნაშრომის შემფასებლებად დაასახელეს *პროფესორები: თეა ლაზარაშვილი და გიორგი ცაავა.*

ჩატარდა კენჭისყრა: კენჭისყრის შედეგად გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ერთხმად.

დაადგინეს 6.1. დოქტორანტ *ნონა ქავთარაძის* სადისერტაციო ნაშრომის – *„საქართველოს საბიუჯეტო სისტემის ფორმირების და ფუნქციონირების სრულყოფის საკითხები",* შემფასებლებად გამოეყოს, *პროფესორები: თეა ლაზარაშვილი და გიორგი ცაავა.*

მოისმინეს 7. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის, პროფესორ ე. მექვაბიშვილის განცხადება, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტ *ირაკლი მაკალათიას* სადისერტაციო ნაშრომის *„საქართველოს მოსახლეობის ცხოვრების დონის სტატისტიკური კვლევა"* შემფასებლების შერჩევის საკითხი;

აზრი გამოთქვეს: სადისერტაციო საბჭოს წევრებმა დოქტორანტ *ირაკლი მაკალათიას* შემფასებლებად დაასახელეს *პროფესორები: მარინე მინდორაშვილი და იოსებ არჩვაძე.*

ჩატარდა კენჭისყრა: გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ერთხმად.

დაადგინეს 7.1. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტ *ირაკლი მაკალათიას* სადისერტაციო ნაშრომის *„საქართველოს მოსახლეობის ცხოვრების დონის სტატისტიკური კვლევა"* შემფასებლებად გამოეყოს, *პროფესორები: მარინე მინდორაშვილი და იოსებ არჩვაძე.*

მოისმინეს 8. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის, პროფესორ ე. მექვაბიშვილის განცხადება, დისერტანტ *ვახტანგ ჩალაფეიქრიშვილის* დისერტაციის *"მსოფლიო ეკონომიკური წესრიგის გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე",* საჯარო დაცვის შედეგად, სადისერტაციო კომისიის დასკვნის *84 ქულა, "ძალიან კარგი"* (*magna cum laude*) დამტკიცებისა და *„ეკონომიკის დოქტორის"* აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

აზრი გამოთქვეს: საბჭოს წევრებს შორის აზრი არავის გამოუთქვამს.

ჩატარდა კენჭისყრა: გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ერთხმად.

დაადგინეს 8.1. დამტკიცდეს დისერტანტ *ვახტანგ ჩალაფეიქრიშვილის* დისერტაციის *"მსოფლიო ეკონომიკური წესრიგის გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე",* საჯარო დაცვის შედეგად, სადისერტაციო კომისიის დასკვნა *84 ქულა, "ძალიან კარგი"* (*magna cum laude*) და მიენიჭოს *„ეკონომიკის დოქტორის"* აკადემიური ხარისხი.

მოისმინეს 9. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის, პროფესორ ე. მექვაბიშვილის განცხადება, დისერტანტ *ნატო ჩადუნელის* დისერტაციის *"ბიზნესის როლი მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციაში"* საჯარო დაცვის შედეგად, სადისერტაციო კომისიის დასკვნის *74 ქულა,"კარგი"* (*cum laude*) დამტკიცებისა და *„ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის"* აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

აზრი გამოთქვეს: საბჭოს წევრებს შორის აზრი არავის გამოუთქვამს.

ჩატარდა კენჭისყრა: გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ერთხმად.

დაადგინეს 9.1. დამტკიცდეს დისერტანტ *ნატო ჩადუნელის* დისერტაციის *"ბიზნესის როლი მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციაში"* საჯარო დაცვის შედეგად, სადისერტაციო კომისიის დასკვნა *74 ქულა,"კარგი"* (*cum laude*) და მიენიჭოს *„ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის"* აკადემიური ხარისხი.

მოისმინეს 10. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის, პროფესორ ე. მექვაბიშვილის განცხადება, დისერტანტ *პაატა კუნჭულიას* დისერტაციის *"ფინანსური მენეჯმენტის თავისებურებანი კომერციულ ბანკში"* საჯარო დაცვის შედეგად, სადისერტაციო კომისიის დასკვნის *79 ქულა,"კარგი"* (*cum laude*) დამტკიცებისა და *„ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის"* აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

აზრი გამოთქვეს: საბჭოს წევრებს შორის აზრი არავის გამოუთქვამს.

ჩატარდა კენჭისყრა: გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ერთხმად.

დაადგინეს 10.1. დამტკიცდეს დისერტანტ ***პაატა კუნჭულიას*** დისერტაციის ***"ფინანსური მენეჯმენტის თავისებურებანი კომერციულ ბანკში"*** საჯარო დაცვის შედეგად, სადისერტაციო კომისიის დასკვნა ***79 ქულა,"კარგი"*** (*cum laude*) და მინიჭოს ***„ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის"*** აკადემიური ხარისხი.

მოისმინეს 11. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის, პროფესორ ე. მექვაბიშვილის განცხადება, დისერტანტ ***დავით ნიჟარაძის*** დისერტაციის ***„მრავალეროვნული კომპანიების მართვის მექანიზმები და განვითარების ტენდენციები,"*** საჯარო დაცვის შედეგად, სადისერტაციო კომისიის დასკვნის ***90 ქულა,"ძალიან კარგი"*** (*magna cum laude*) დამტკიცებისა და ***„ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის"*** აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

აზრი გამოთქვეს: საბჭოს წევრებს შორის აზრი არავის გამოუთქვამს.

ჩატარდა კენჭისყრა: გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ერთხმად.

დაადგინეს 11.1. დამტკიცდეს დისერტანტ ***დავით ნიჟარაძის*** დისერტაციის ***„მრავალეროვნული კომპანიების მართვის მექანიზმები და განვითარების ტენდენციები,"*** საჯარო დაცვის შედეგად, სადისერტაციო კომისიის დასკვნა ***90 ქულა, "ძალიან კარგი"*** (*magna cum laude*) და მიენიჭოს ***„ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის"*** აკადემიური ხარისხი.

მოისმინეს 12. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის, პროფესორ ე. მექვაბიშვილის განცხადება, დისერტანტ ***თეიმურაზ გოგნაძის*** დისერტაციის ***"სახელმწიფო შესყიდვების მართვის ორგანიზაცია ინტერნეტ-ტექნოლოგიების გამოყენებით"*** საჯარო დაცვის შედეგად, სადისერტაციო კომისიის დასკვნის ***85 ქულა, "ძალიან კარგი"***(*magna cum laude*) დამტკიცებისა და ***„ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის"*** აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

აზრი გამოთქვეს:

ასოცირებული პროფესორი ნინო პაპაჩაშვილი

ორი საკითხი მაქვს: ფაკულტეტის საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება დისერტაციის შემფასებლების ანაზღაურების შესახებ და რატომ ირღვევა საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, როდესაც ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის მიერ გაწეული მუშაობა არ ანაზღაურდება, ხოლო მოწვეული შემფასებლის ანაზღაურებადია. მეორე საკითხს რაც შეეხება, რასაკვირველია ყველა შემფასებელს ვიცნობთ, მაგრამ სასურველია, შემფასებლის ნაშრომების შესახებ მოკლე ინფორმაცია გააცნოთ სადისერტაციო საბჭოს.

პროფესორი ქეთევან მარშავა

შემფასებლების ანაზღაურების საკითხის გადასაწყვეტად საჭიროა ორი დადგენილება: ფაკულტეტის საბჭოს და აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილება.

სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე, პროფესორი ელგუჯა მექვაბიშვილი

შემფასებლების შესახებ ინფორმაციას აუცილებლად გადმოგიგზავნით ელ-ფოსტაზე.

პროფესორი ნუგზარ თოდუა

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოში წარმოდგელი არიან მხოლოდ პროფესორები და ასოცირებული პროფესორები, „განათლების შესახებ კანონში" შეტანილი ცვლილებების თანახმად, ასისტენტ-პროფესორს აქვთ უფლება უხელმძღვანელოს დისერტანტს. მიმაჩნია, რომ ასისტენტ-პროფესორებს, რომლებსაც აქვთ სამეცნიერო ხარისხი, სადისერტაციო საბჭოში უნდა იყვნენ წარმოდგენილნი.

სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე, პროფესორი ელგუჯა მექვაბიშვილი

ორივე წინადადება, რომელიც წარმოდგენილია კენჭისყრაზე ხელახლა უნდა განიხილოს ფაკულტეტის საბჭომ. ანაზღაურება უნდა მოხდეს, როგორც გარე ისე შიდა შემფასებლის, რადგან ეს ზეგანაკვეთური სამუშაო. რაც შეეხება ბატონი ნუგზარის წინადადებას რასაკვირველია გასათვალისწინებელია. კანონში განხორციელებული ცვლილება, როდესაც აისახება უნივერსიტეტის შესაბამის რეგულაციაში, შესაბამისად ჩვენც მივიღებთ გადაწყვეტილებას.

ჩატარდა კენჭისყრა: გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ერთხმად.

დაადგინეს 12.1. დამტკიცდეს დისერტანტ ***თეიმურაზ გოგნაძის*** დისერტაციის ***"სახელმწიფო შესყიდვების მართვის ორგანიზაცია ინტერნეტ-ტექნოლოგიების გამოყენებით"*** საჯარო დაცვის შედეგად, სადისერტაციო კომისიის დასკვნა ***85 ქულა, "ძალიან კარგი"***(*magna cum laude*)და მიენიჭოს ***„ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის"*** აკადემიური ხარისხი.

მოისმინეს 13. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის, პროფესორ ე. მექვაბიშვილის განცხადება, დოქტორანტ ***ვ. არღუთაშვილის, „ბიზნესის ადმინისტრირების"*** სადოქტორო პროგრამიდან ***„ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის"*** სადოქტორო პროგრამაზე გადასვლის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: საბჭოს წევრებს შორის აზრი არავის გამოუთქვამს.

ჩატარდა კენჭისყრა: გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ერთხმად.

დაადგინეს 13.1. დოქტორანტი ***ვ. არღუთაშვილი „ბიზნესის ადმინისტრირების"*** სადოქტორო პროგრამიდან, გადაყვანილ იქნას ***„ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის"*** სადოქტორო პროგრამაზე.

სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე,
პროფესორი ე. მექვაბიშვილი

სადისერტაციო საბჭოს
სწავლული მდივანი მ. ლობჟანიძე